საქართ. [illegible] სოც.-ფედერალისტ. სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34

№ 295

კვირა სექტემბრის 17 1922 წ.

ტფილ. ფასი 50სა მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ქვრივი თებრონე (ცეცკა) ესკის ასული გრიგოლიასი შვილით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, ამა სექტემბრის 17-ს ფოთში საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება ორი წლის თავის წირვა-პანაშვიდი ძვირფასი ქმრის უდროოდ გარდაცვალებულის

სერაფიონ მელიტონის ძე

გრიგოლიას

სულის მოსახსენიებლად.

ორშაბათს, სექტემბრის 18, საღამოს 6 საათზე- ზუბალაშვილის სახალხო სახლში შესდგება ტფილისის ქალაქის

## საბჭოს პლენუმის

### მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1. ახლო აღმოსავლეთის ამბები
2. ქალ. აღმასკომის კომუნალური პოლიტიკა.

ყველა წევრების თავის დროზე გამოცხადება სავალდებულო.

2—2 მდივანი: გ. ხუნდაძე.

---

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის

დადგენილების თანახმად ა. წ. სექტემბრის 30-თვის

## მოწვეულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია,

### შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).
2) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ. (მომხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).
3) მიწათმოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ. (მომხსენებელია მიწათმოქმედების სახ. კომ. ს. თოდრია).
4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
5) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
6) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
7) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ. (მომხსენებელია ფინანსთა სახ. კომისარი).
8) მოხსენება სიმშილზე. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

რადგან განსახილველი საკითხები ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცაკის ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.

---

## სოფლის საჭიროებანი

ჩვენი ქვეყანა სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. სოფლის ცხოვრება, მისი ნაკლის და ღირსების გაგება და ამის მიხედვით რეალი პოლიტიკის წარმოება უმთავრესი ამოცანაა საბჭოთა ხელის·თვის. საქართველოს მცხოვრებთა 90 პროც. მშრომელი გლეხკაცობაა და, ცხადია, მთელი პოლიტიკური და ეკონომიური სიმძიმე გლეხობას აწევია ზურგზე. გლეხური მასსის ფსიქოლოგია ისეთია, რომ გლეხისათვის ყოველი უარყოფითი მოვლენა, უკეთ—დეფექტი ჩვენი სოციალ-ეკონომიური პოლიტიკისა თვალსაჩინოა და აშკარა. ხოლო ყოველივე ის, რაც „მაღალ მოსაზრებებს“ ეყრდნობა და პირველ ხანებში მოითხოვს გლეხკაცობის განუსაზღვრელი ნების შეზღუდვა-შელახვას, გლეხისათვის ღრმა საიდუმლოებაა.

მენშევიკები თავიდან ბოლომდე გაჰყვნენ გლეხ-კაცობის სულისკვეთებას, უწინარეს ყოვლისა მათ დააკანონეს მიწის კერძო საკუთრება, რაც სასარგებლო და მისაღები იყო მხოლოდ გლეხკაცობის მდიდარი ნაწილისათვის. სოფლად მდიდარ გლეხს უფრო მეტის პატივისცემით უყურებდა დემოკრატიზმის ხანაში ღატაკი გლეხი, ვინემ ხელისუფლების რომელიმე თვალსაჩინო წარმომადგენელს. ასეთი იყო გლეხის ბუნებაში მოყოლილი შინაური ტენდენცია. ხშირი იყო სოფლები, სადაც მენშევიკური მეშჩანური პოლიტიკის წყალობით „გაკულაკებული“ გლეხი თავზე იყო წამომჯდარი ღარიბსა და შეუგნებელ მიწის მუშებზე: საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ ძირ-ფესვიანად შესცვალა სოფელში არსებული გლეხთა ასეთი ურთი-ერთ დამოკიდებულება. ღარიბ გლეხ-კაცობამ შეიგნო და შეითვისა ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ თანამედროვე რევოლუცია არსებითად ღარიბ·ღატაკ მიწის მუშების რევოლუციაა და მისი მიზანია სოფლის „ბობოლების“ და მდიდართა კლასების მოსპობა-განადგურება. მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც ბლომად მოიპოვება ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ღარიბი, გაძვალტყავებული გლეხი, რომელიც ძველებურად, ყურმოჭრილი მონის მორჩილებით და გულუბრყვილობით უსმენს უკმაყოფილო, უფლება აყრილ სოფლის ყოფილ „ბატონს“, „მოძმე“ მეზობელს. აქ გვმართებს ჩვენ დავძაბოთ მთელი ჩვენი ენერგიის და პროპაგანდა—მიტინგების გზით საბოლოოდ გაწმინდა მშრომელი გლეხ-კაცობის ტრადიციული შეხედულება—მსოფლ-მხედველობისაგან.

რა აწუხებს ჩვენ გლეხს და მის სამეფოს—სოფელს?

თვალდახუჭული განზრახ, ან სრულიად დაბრმავებული უნდა იყოს ყველა ის, ვინც არამჩნევს სოფლის ცხოვრებაშიც არსებულ სოციალ·ეკონომიურ და იდეურ ხასიათის ძირითად გარდატეხას. ჩვენი მიზანი არაა ყოველივე ის, რაც კეთდება სოფლად, აქ იქნას აღნუსხული.

სოფელი განიცდის ტკივილს, უპირველესად ყოვლისა—ქურდ-ბაცაცების, ყაჩაღების, საზოგადოდ—ბანდიტიზმისაგან. მთელს სოფლიოში იშვიათია სადმე ისეთი ენერგიული ბრძოლა სწარმოებდეს ბანდიტიზმის წინაამდეგ, როგორც რევოლუციონურ საბჭოთა რესპუბლიკებში. მშრომელი გლეხ-კაცობა არ დაივიწყებს ჩვენი ხელისუფლების ღვაწლსა და ამაგს ამ დარგში. თითქმის ყოველდღე ისჯება მშვიდობიან მცხოვრებთა საზიანო ელემენტები. ჩვენი წითელი მილიციონერი ისე მისდევს ყაჩაღ-ქურდ-ბაცაცას, როგორც მწევარი ძაღლი კურდღელს. მაგრამ რეზულტატი მაინც არ არის ისეთი ხარისხის, როგორიც ეს იყო მოსალოდნელი; ყაჩაღობა მაინც შედარებით იზრდება.

მენშევიკების დროს იყო ბანდიტიზმი, მაგრამ არც იმდენად ძლიერი. მაშინ „ავკაცობას“ ჰქონდა უფრო უმარტივი ხასიათი. მოსამსახურეთა უმრავლესობა ქრთამებით სცხოვრობდა, მილიციელი დ ჯარის კაცი—ქურდობით და მშვიდობიან მცხოვრებლებზე თავდასხმით, დღეს ხშირად შეხვდებით სოფლად ყოფილ გვარდიელს, რომელიც სანტიმენტალი გრძნობით იგონებს ჯიბლეს და მის დროს. შოვნა და ცხოვრება მაშინ იყო-ვო, ამბობს იგი. დღე გვქონდა, ლამე კი—ჩვენს ხელობას მისვდევდითო. ცხადია, მაშინ მართლა, შეუძლებელი იყო ბანდიტიზმთან ბრძოლა, რადგან მთელი სახელმწიფო ხალმინისტრაციო მენშევიკური ორგანიზაციები თავისთავად „ბანდიტიზმს“ წარმოადგენდა. დღეს კი მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. არც ერთი ბიუროკრატი არ რჩება აღმოუჩენელი, ყოველი ბიუროკრატმოქმედი ისჯება, მაგრამ.. ბანდიტიზმი მაინც იზრდება, შედარებით ვითარდება.

ამის მიზეზი მეტად მკაცრ პოლიტიკაში მდგომარეობს. სიმკაცრე, ყოველგვარ საზღვრებს მოკლებული, უფრო უწყობს ხელს ყაჩაღობას. ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ მკაცრი ზომები, საზოგადოთ, უკუგდებული უნდა იქმნას. სრულებით არა. მხოლოდ საჭიროა აბსოლიუტური სიმკაცრის შეცვლა. მასიური მაგალითი, როდესაც „ჩეკაში“ ან მილიციის სამმართველოში დაბარებული სოფლის კაცი დანიშნულების ადგილამდე კი არ მიდის, არამედ ტყეში უხვევს. ეშინია, ვაი თუ დამხვრიტონო სულ უბრალო დანაშაულის ჩამდენი პირი გაურბის სასამართლოს და ბანდიტთა რიცხვს ემატება: საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და შედარებით ლოიალი გზის გამონახვა.

ჩვენ აღმშენებლობის ეპოქაში ვცხოვრობთ და არ გამოგვადგება ნგრევის ხანაში წარმოებითი პრაქტიკა. ყაჩაღობის მიზეზები რთული ბუნებისაა და მარტო სიმკაცრით და ისით განაბდევრული სიმკაცრით. მისი აღმოფხვრა შეუძლებელია. საჭიროა უფრო ღრმად ნახედვა სინამდვილის მოვლენებში, წარმოებულ გზის გადასინჯვა და შესწორება, ბანდიტიზმი სულს უხუთავს სოფელს...

არის მეორე გარემოებაც, რომელიც ართულებს სოფლის იდეალურ მყუდროებას. ეს არის გადასახადები. მართალია, გადასახადების პოლიტიკის გარეშე არ არსებულა არც ერთი სახელმწიფო და არც დღესაც არსებობს, მით უმეტესად ჩვენს ღარიბ რესპუბლიკას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს გადასახადებს: ამას უკარნახებს მას არსებული ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა.

საბჭოთა საქართველოში გადასახადთა მთელი სიმძიმე გადატანილია ქალაქის ბურჟუაზიაზე. თუ წინედ ქალაქი იყო თავისუფალი გადასახადისაგან და სოფელი კი საგადასახადო ბაზას წარმოადგენდა, დღეს საქმის ვითარება სავსებით შებრუნებულია. მაგრამ ისიც, რაც სოფელს ევალება, იწვევს გაუგებრობას. მართალია, ღარიბი გლეხი ან სავსებით თავისუფალია, ან და იხდის უმნიშვნელო რაოდენობას, მაგრამ მაინც ერთგვარი რკალი იქმნება ჩვენს წინაშე. საქმე იმაშია, რომ ჩვენი გლეხობის აბსოლიუტური უმრავლესობა საკუთარის ოფლით და შრომით სცხოვრობს. ჩვენში იშვიათია ნამდვილი „კულაკი“, მუქთა გლეხი, რომელსაც თავისი მკლავებით არ შეუძენია სიმდიდრე. თემებში ნაწილდება გადასახადების რაოდენობა ხშირად წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით: ოცში, მაგ. ათ ოჯახმა გადაიხადოსო. ვინ უნდა გადაიხადოს მერე ეს გადასახადი? აშკარაა, მშრომელმა გლეხმა, რომელსაც წვითა და დაგვით შეუძენია ორიოდე ქცევა მიწა და ორ-სამ თვალიანი სახლი. ეს აშწვავებს მდგომარეობას, ანვითარებს უკმაყოფილებას. გადასახადებისაგან სოფლის სრულიად განთავისუფლება შეუძლებელია, მაგრამ გადასახადის რაოდენობა მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, თვალსაჩინოდ შემცირებული, ვინემ ეს არის დღეს და შესაფერისი სისტემა იქმნეს გამომუშავებული.

უნდა ვერიდოთ მშრომელ ხალხზე გადასახადების გაწერას. საჭიროა ფრთხილად შევხედოთ სოფელს და მუდამ თვალ-ყური გვეჭიროს სოფლის ტკივილსა და საჭიროებისაკენ.

გ. მუზაშვილი.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**საფრანგეთ-ინგლისის დამოკიდებულება.** საფრანგეთ-ინგლისის დამოკიდებულება დღითი დღე მწვავდება. ინგლისის პრესა მეტად აღშფოთებულია პუანკარეს უკანასკნელი ნოტით, რომელიც ეხება საფრანგეთის ვალს ამერიკის მიმართ და ინგლისის ვალს. „დეილი ქრონიკლი“ მოწინავეში აღნიშნავს, რომ პუანკარეს ნოტა არის ყველაზედ მეტად ბოროტგანზრახვით აღსავსე ნოტა რომელიც დაწერილია მოკავშირეთა შორის ომის შემდეგ. „ჟურნალი“ გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ ნოტას შეუძლია იმის საწინაამდეგო შედეგების გამოწვევა, რისთვის არის იგი მოწოდებული.

იტალიის პრესა კი იწონებს ნოტას და მხარს უჭერს პუანკარეს განცხადებას, რომ „იძულება სამხედრო ვალების გადახდისათვის—უზნეოა“.

**პრესა ახალი კონფერენციის მოწვევის შესახებ.** ინგლისის პრესა, რომელიც კომენტარიებს უკეთებს პუანკარეს ნოტას ბალფურის მიმართ, ერთხმად აღიარებს, რომ სარეპარაციო პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭიროა ახალი კონფერენციის მოწვევა ამერიკის მონაწილეობით. „მანჩესტერ გარდიენის“ აზრით, ამერიკას უნდა გაეგზავნოს კონფერენციაზედ მოწვევის წინადადება ინგლის-საფრანგეთისაგან ერთად. იმ შემთხვევაშიო,—აღნიშნავს გაზეთი—თუ ამერიკა მონაწილეობას მიიღებს კონფერენციაში, მოვალეებსა და ვალდებულთა შორის შესაძლებელია დამყარდეს ფინანსიური ხასიათის შეთანხმებანი. თუ ამერიკამ არ მიიღო კონფერენციაში მონაწილეობა, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს ინგლისის მიერ საფრანგეთის ვალის უარის თქმით, გერმანეთის გადასახადების ძლიერი დაკლებით და საფრანგეთის განიარაღებით. ინგლისი არასოდეს არ დათანხმდება საფრანგეთის ვალის გაუქმებაზედ სამაგიერო კომპენსაციების გარეშე. როგორც „დეილი ტელეგრაფი“ გადმოგვცემს, პუანკარე ყოველღონეს ხმარობს, რომ ამერიკამ მონაწილეობა მიიღოს ბრიუსელის კონფერენციაში, „რომლის მოწვევაც განზრახულია შემოდგომაზე. ამ მხრივ საფრანგეთის მთავრობამ უკვე გადადგა მთელი რიგი არა ოფიციალური ნაბიჯები. როგორც „დეილი მილი“ გვაუწყებს პუანკარე ახლო მომავალში ამერიკაში გაგზავნის ოფიციალურად მოწვევის წინადადებას, რომელშიაც ხაზს გაუსვამს იმ გარემოებას, რომ საფრანგეთი მზად არის შეამციროს გერმანეთისაგან გადასახადების აღება იმ ზომით, როგორითაც ინგლისი გააუქმებს საფრანგეთის ვალებს. ამავე დროს პუანკარე გამოსთქვამს იმ აზრს, რომ საფრანგეთი მზად იქნება უარი სთქვას იმ ვალების შესახებ, რომელიც მას ერგება თავის მოვალეებისაგან. ამავე დროს ამერიკიდან მიღებული ცნობებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გარდინგის მთავრობა იწყებს მონაწილეობის მიღებას ევროპის საქმეებში. „ნიუ-იორკ გარდიენი“ სწერს, რომ „ამერიკის ადმინისტრაცია, უეჭველად უცდის ხელსაყრელ შემთხვევას ევროპის საქმეებში მონაწილეობის მისაღებად“. ნიუ-იორკის კორესპონდენტი კი აღნიშნავს, რომ ამერიკას შეუძლია ფინანსიურ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება იმ პირობით, თუ იგი მოწვეულ იქნება ვაშინგტონში, მაგრამ იგი არასოდეს არ დათანხმდება, რომ მისცეს ევროპას სესხი ან გააუქმოს ევროპიელთა ვალები.

**იტალია. ბრძოლა მუშებისა ფაშისტებთან.** „როტე ფანე“ უკეთებს ჯამს იტალეთის უკანასკნელ ამბებს და ამბობს, რომ სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელობის გარეშე მუშებმა არაჩვეულებრივი მხნეობით ჩაატარეს გაფიცვა და თუ ისინი დამარცხებული იქმნენ ფაშისტებთან ბრძოლაში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელთა მხარეზედ იდგა მთავრობის ჯარი და ჟანდარმერია. განსაკუთრებული ენერგია გამოიჩინა რომის, ტურინის და ნეაპოლის პროლეტარიატმა, სადაც არის ძლიერი კომუნისტური ორგანიზაციები. აქ ფაშისტებმა ვერ მიაღწიეს თავის მიზანს. ტრიესტის კომუნი ტურად განწყობილ მუშების მიერაც ფაშისტებს შეხვდა ძლიერი წინაამდეგობა. განსაკუთრებული მარცხი განიცადა ფაშისტებმა პარმაში, სადაც მათ წინაამდეგ აღმართული იყო ბარიკადები. ფაშისტებმა აქ დაკარგეს 30 კაცი და გამაგრდენ მხოლოდ იმიტომ, რომ მოუსწრო მთავრობის რეგულიარულმა ჯარმა. სხვა გვარად იყო საქმის ვითარება მილანსა და გენუაში. გენუაში მუშებს მოუხდათ ჟანდარმერიასთან ნამდვილი ომი. მოკლულები არის ორივე მხრივ.

ფაშისტები გამოვიდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც გამარჯვება წილად ხვდა ჟანდარმერიას.

მილანში ფაშისტების მიერ დაღეწილ იქნა გაზეთი „ავანტის“ შენობა. ალექსანდრიაში ფაშისტებმა დასწვეს სახალხო სახლის შენობა. ამ გარემოების წყალობით იტალეთის სოც.-დემოკრატიის შინაგანი კრიზისი დროებით დაძლეულია, რადგან ტურატის ჯგუფისათვისაც კი შეუძლებელია მთავრობასთან თანამშრომლობა, გამწვავებული მდგომარეობით თეთრი ტერორის გამო. კომუნისტური ორგანიზაციები იარაღს არ ყრიან და განაგრძობენ ენერგიულ მუშაობას.

# სასამართლო განსაცდელში

(შემდეგი)

8) დაუყოვნებლივ უნდა იქნან განმტვირთული სახ. სასამართლოები დაცვითი, საბჭოთა და საზოგადო ყველა იმ საქმეებისაგან, რომლებიც უდავოა და არავითარ გასამართლებას არ მოითხოვს: ესეთი საქმეები უნდა გადანაწილდნენ შესაფერისად აღმასკომების სამოქ. აქტების აღრიცხვის განყოფილებებს და ნოტარიუსებს. ძლიერ სამწუხაროა, რომ ეს ამდენ ხანს არ მოხდა.

9) სახ. სასამართლო და სახ. მოსამართლეთა საბჭო წარმოადგენენ ერთ მთლიან ორ ინსტანციან სასამართლოს სისტემას და სავსებით უნდა იყოს დაცული მათი მთლიანობა, სიმმეტრია და შესაძლებელია იგივეობა მათი ბუნებისა, პრინციპებისა და ხასიათისა. ამისათვის საჭიროა, რომ საქმეები, რომლებსაც არჩევს სახ. სასამართლო შვიდი შემადგენლობით, ირჩეოდნენ საბჭოს სხდომებზედ ხუთი შემადგენლობით (თანახმად სახ. სასამ. დებ. 115 მუხლისა), დანარჩენი საქმეები კი—სამი შემადგენლობით (როგორც არის დღეს). რომ საბჭო დაცული იყოს ბიუროკრატებისაგან, მის სხდომებზედ პირველ შემთხვევაში უნდა მონაწილეობდნენ სამი და უკანასკნელში კი—ორი მორიგი სახ. მოსამართლე.

ვინაიდან დღეს საზოგადოებრივი ცხოვრება თავბრუდამხვევი სიჩქარით ვითარდება—რომ სასამართლო არ ჩამორჩეს ცხოვრებას და ნიადაგ იდგეს ხალხის განვითარების დონეზედ, აგრეთვე საბჭოს მიმართულების საკონტროლოდ და ახალ-ახალი ცხოვრების მიერ წარმოყენებულ საერთო კითხვების გარდასაწყვეტად, უნდა ხდებოდეს რეგულიარულად წელიწადში ერთხელ ყრილობა მთელი რესპუბლიკის სახ. მოსამართლეებისა.

უნდა დაჩქარდეს გამოცემა სახ. სას. დებულების 111 მუხლის შენიშვნაში ნაჩვენები განსაკუთრებული დებულებისა იუსტ. სახ. კომისრის კონტროლის შინაარსის შესახებ, რომელიც უნდა ეთანხმებოდეს სახ. სასამართლოს სისტემას—მხოლოდ არავითარ შემთხვევაში კომისარს არ უნდა ექნეს უფლება საბჭოს განჩინების გაუქმებისა ან შეცვლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში—ეს იქნებოდა შექმნა საბჭოთა იდეისთვის უცხო დამახინჯებული მესამე ინსტანციისა და დასამარება სახ. სასამართლოსი.

10) სახ. სასამართლო საზოგადოებრივი სინიდისის განსახიერებაა, იგი. სოციალური სარკეა და ერთად-ერთი საზომია ადამიანური სამართლიანობისა... მასთან მოდის ძლიერი და უძლური სამართლის საძებრად—ნამდვილ სოციალური ფიზიონომიის დასანახად...

რომ მოსამართლემ გარდაშალოს და ამუშაოს მთელი თავისი სულიერი ძალა, გულდასმით ჩაიხედოს თავის სინიდისის სიღრმეში და ჩაწვდეს საქმის ნამდვილ ვითარებას, ის სრულ სულიერ მყუდროებას უნდა განიცდიდეს—იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ძლიერთა გავლენისაგან...

უმთავრესი გარანტია მართლმსაჯულებისა არის მოსამართლის დამოუკიდებლობა, როდესაც მოსამართლის სამსახურიდან გარდაყენება და საზოგადოდ დასჯა ადმინისტრატიული წესით, ე. ი. სასამართლოში საქმის გაურჩევლად და გამოუძიებლად, არავის არ შეუძლია.

ასეთ გარანტიას მოითხოვს დღეს ჩვენი სახ. სასამართლო, რადგანაც მას ამაზედ გაცილებით მეტი უფლება აქვს, ვიდრე სხვა რომელიმე სასამართლოს მთელ დედამიწის ზურგზედ...

აზრი ზოგიერთი კომუნისტებისა, რომ ვითომ მოსამართლის დამოუკიდებლობა საშიშო იყოს და არ ეგუებოდეს საბჭოთა იდეას, უსაფუძვლოა და აიხსნება საბჭოთა სისტემისა და მის სახ. სასამართლოს ნამდვილი ბუნების არ ცოდნით ან და გარდაჭარბებული დაუნდობლობით, რაც ხშირად ხდება რევოლიუციის პირველ ხანებში:

მართალია, როცა გლეხი სტოვებს გუთანს და კომისრობას ან მისდაგვარ თანამდებობას ჰკიდებს ხელს, ის ხშირად დროისა და გარემოების გავლენით ნელნელა კარგავს გლეხის ინდივიდუალურ თვისებებს, სცილდება მას სულიერადაც და როგორც ამბობენ რუსეთში „კომისარდება“ „ბიუროკრატდება“.. ასეთის პირების დამოუკიდებლობა მართლაც საშიშოა და ეწინააღმდეგება საბჭოთა იდეას, სახ. სასამართლო კი თვით ხალხია (მინიატურაში). იქ ქმნიან სამართალს რესპუბლიკის ყველა ჯანსაღი და ზნეობრივად უმწიკვლო მუშები და გლეხები, რომლებიც მორიგეობენ და ყოველ დღე იცვლებიან. სახ. მოსამართლე, რომელიც მუდამ ხალხშია, მასთან ერთად ფიქრობს, ერთად გრძნობს და ერთად მოქმედებს, გათქვეფილია ხალხში. მისი სინიდისი და მოქმედება ხალხურია—სოციოლოგიური დიფუზიით შექმნილი. სახ. მოსამართლე მთელი თავის არსებით მიჯაჭვულია—მიზდილია ხალხზედ და მისი ხალხიდან ჩამოშორება (სანამდის მოსამართლეობს) და გაბიუროკრატება ყოვლად შეუძლებელია პირიქით. ასეთ პირობებში, როგორშიდაც იმყოფება სახ. მოსამართლე, თვით გაყინული—წმინდა წყლის ბიუროკრატიც კი გალღვება—გაპოლხოსნდება.

ცხადია, რომ სახ. მოსამართლის დამოუკიდებლობა კი არაა საშიშო და მავნებელი სუვერენულ მუშათა და გლეხთათვის, საშიშო არის სწორედ მისი დამოკიდებულება მაღლა გამაბიუროკრატებელ პირობებში მყოფ ადმინისტრატორებისაგან, როდესაც ამ უკანასკნელებს ექნებათ შეძლება ამოქმედონ მოსამართლეები, იძულებული იქნებიან აასრულონ მათი სურვილები—შეეგუონ მათ და იძრომონ—იქვეწარ მოვონ მათ ფეხებში.. მაშინ წაიშლება ხალხური ხასიათი სასამართლოისა და დაიხშვება ის ერთად ერთი სარკმელი, საიდანაც ყოველ დღე იყურება ხალხი, ანათებს მისი კოლექტიური სინიდისი და ისმის მისი ხმა.

ამისათვის, აუცილებელი საჭიროა, რომ რევოლიუციის პირველ ხანებში—ხარბაზნების ქუხილის დროს შექმნილი შინაარსი სახ. სასამ. დებულების 113 მუხლისა, როგორც ხანგასული, შეიცვალოს ნორმალურ დროისა და გარემოების შესაფერ კანონით, რომლის ძალითაც სახ. მოსამართლეების და მათ საბჭოს პრეზიდიუმის წევრების სამსახურიდან გარდაყენება—გაწვევას და, საზოგადოდ, დასჯას, სასამართლოს გარეშე, ე. ი. ადმინისტრატიული წესით, არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ქონდეს; რომ ადმინისტრატიულ წესით მოსამართლე, გარდა უბრალო გაფრთხილებისა, არავითარ დასჯას არ მოელოდეს.

11) საბჭოთა პენოლოგიამ სასჯელთა სისტემაში თვალსაჩინო ადგილი დაუთმო იძულებითი საზოგადო მუშაობას. ეს ძლიერ გონივრული და ყოვლის მხრით მიზანშეწონილი საშვალებაა დასჯილთა გასასწორებლად: როგორც ვიცით, შრომა, გარდა იმისა, რომ ქმნის ეკონომიურ დოვლათს(?), აკეთილშობილებს—აჯანსაღებს ადამიანს სულიერად და ფიზიკურად და ანვითარებს ალტრუისტულ (სოციალურ) ინსტინქტებს.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო აუარებელი გვაქვს (მაგ. თფილისს თავზედ ენგრევა დავითის მთა და ქალაქის აღმასკომი კი სასწაულს უცდის) და საშვალება, რომ მუშაობის დროს პატიმრები არ გაიქცნენ, არის (გარდა ჩვეულებრივი ყურადღებისა—აუარებელი თავისუფალი ჯარისკაცებია) დღემდის აუარებელი პატიმრები ინახებიან გამასწორებელ სახლებში სახელმწიფოს ხარჯზედ და უმოქმედობის გამო სამუდამოდ ფუჭდებიან ფიზიკურად და ზნეობრივად.

დროა სათანადო პასუხისმგებელმა ხელისუფლებმა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას—მარტო წითელი კაკარდები და პარტიის მარკები არ კმარა სახელმწიფოს ასაშენებლად.

ევგენი გაბუნია.

(შემდეგი იქნება)

# საბერძნეთ ოსმალეთის ომი

ნაუენი. 15 სექტ. ლონდონის პრესა აღნიშნავს, რომ ამ ჟამად მდგომარეობა ევროპაში ისევე სერიოზულია. როგორიც იყო 1914 წელს. ზოგიერთი გაზეთები უკიდურესი პესიმიზმით ითვალისწინებენ ახალ ბალკანეთის ომს, თუ ინგლისის პოლიტიკა არ მიუდგება მდგომარეობას დიდი სიფრთხილით.

ბალკანეთში

ნაუენი. 15 სექტ. „ცენტრალ ნიუზის“ ცნობებით სამხრეთ-სლავია და რუმინია აღმოუჩენს დახმარებას საბერძნეთს, თუ ომი დაიწყება თრაკიაში სამხრეთ სლავია აწარმოებს მზადებას, რათა თავის ძალებს თავი მოუყაროს სკოპლის (უსკიუბი) მახლობლად.

ბოროდო. 15 სექტ. ბოლგარეთის პრესიდიურო უარჰყოფს ხმებს ბოლგარეთის ჯარების თრაკიის საზღვრებთან კონცენტრაციის შესახებ და თითქოს შეტაკება მომხდარიყოს ბოლგარეთის ჯარებისა და ბერძნების შორის ნევროკოპის მახლობლად.

რომი. 15 სექტ. საბერძნეთის მთავრობამ მიიღო ზომები საზღვრების ბოლგარეთის ჩეთებიდან დასაცავად და მიმართა მოკავშირეების სახელმწიფოებს თხოვნით ჩაერიონ მათ საქმეებში.

რომი. 15 სექტ. „ტანის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრმა აღიარა, რომ მცირე ანტანტა ეწინააღმდეგება წონასწორობის დარღვევას ახლო აღმოსავლეთში, თუმცა და მოკავშირეებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ ახალ აღმოსავლეთში ახალ კონფლიქტის წარმოშობას.

ნაუენი 15 სექტ. ცნობები მცირე ანტანტის სახელმწიფოებში მობილიზაციის შესახებ თანდათან ვრცელდება. აშკარაა, რომ მცირე ანტანტის სახელმწიფოები ემზადებიან შექმნილ მდგომარეობის გამო.

დირექტივები საფრანგეთის დელეგაციას

ბოროდო. 15 სექტ. პუანკარემ გააცნო საფრანგეთის მინისტრთა საბჭო სამხედრო სხდომაზე იმ დირექტივებს, რომელნიც მისცა მან საფრანგეთის დელეგაციას საკონტრიბუციო კომისიაში გერმანია და ბელგიის შორის მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრების გამო.

კაბინეტის მერყევი მდგომარეობა

ბოროდო. 15 სექტ. ბერლინიდან იუწყებიან რომ უკანასკნელ ამბების გამო კაბინეტის მდგომარეობა შერყეულია. მის წინააღმდეგ ვენგრიულ კომპანიას აწარმოებენ სახალხო პარტია და სტინესის მომხრენი ოპოზიციის ასეთი „მანიოვრების“ გამო ვირტმა უარი განაცხადა საზაფხულო დასვენებაზე.

კონტრიბუციის პრესის ქვეშ.

ჰანნოვერი. 15 სექტ. გაზეთების ცნობით. ქალაქ ჰანოვერის თვითმართველობამ დაადგინა ლიკვიდაცია უქნას ზოოლოგიურ ბაღს, ვინაიდან მისი შენახვა ქალაქს, მატერიალურ საშუალებათა უქონლობის გამო არ ძალუძს.

განზრახულია აგრეთვე ბერლინის ზოოლოგიურ ბაღის დახურვა. მხეცები გაიყიდება და დატოვებული იქნებიან მხოლოდ აკვარიუმები.

ჰანნოვერი. 15 სექტ. სათბობ მასალის ხარჯების შესამცირებლად, ბერლინის ქალაქ. თვითმართველობამ დაადგინა შეჩერებულ იქნას ექვსი თვით მაწის ქვეშ და ზედა პირზე შენობების აშენება.

მოსკოვი. 15 სექტ. იტალიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთლიანი ოსმალეთის დაცვა და მისთვის მთელი მცირე აზიის დაბრუნება იქნება საუკეთესო გარანტია ევროპის კომერციულ ინტერესებისათვის ოსმალეთში იტალია დაინტერესებულია იმაში რომ ოსმალეთს დაუბრუნდეს თრაკია, რაც დაამყარებს ბალკანეთში წონასწორობას.

ინდოეთის მუსლიმანების თანაგრძნობა.

მოსკოვი. 15 სექტ. ინდოეთის მუსლიმან მცხოვრებლებმა ზეიმით იდღესასწაულეს ოსმალეთის გამარჯვება. ინდოეთის პარლამენტის მუსლიმან წევრებმა გაუგზავნეს ლორდ ჯორჯს დეპეშა, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ საჭიროა ინგლისმა დაიცვას სასტიკი ნეიტრალიტეტი.

ერთმანეთს კბენენ

მოსკოვი. 15 სექტ. დღეს გაიმართება საფრანგეთის მთავრობის მნიშვნელოვანი თათბირი, რომელზედაც შეიმუშავებენ საერთო პოლიტიკის ხაზს ახლო აღმოსავლეთის საკითხში. ფიქრობენ, რომ სრუტეების საკითხში საფრანგეთი გაიზიარებს ინგლისის თვალსაზრისს, მაგრამ მხედველობაში მიიღებენ იმას, რომ შეიძლება დიდი უთანხმოება დაიბადოს ორივე მთავრობებს შორის სხვა საკითხებში.

იტალიის მთავრობის ნოტა

მოსკოვი. 15 სექტ. იტალიის მთავრობა ბალფურის ნოტის საპასუხოდ დაჟინებით მოითხოვს, რათა ოსმალეთ-საბერძნეთის საკითხი არ გადააქციონ საერთო ევროპის საკითხად.

მცირე აზიის ევაკუაცია

ჰანოვერი. 15 სექტ. საბერძნეთის მთავრობამ მიმართა შუამდგომლობით ანტანტის წარმომადგენლებს, ნება დართონ საბერძნეთს—რეკვიზიცია უყოს მოკავშირეთა გემებს, რომელნიც საბერძნეთის წყლებში იმყოფებიან, მცირე აზიის ევაკუაციის საჭიროებისათვის.

მეზღვაურთა დემობილიზაცია

ჰანნოვერი. 15 სექტ. ათინის ცნობებით, საბერძნეთი ოთხი წლის ნამდვილი ნამსახური მეზღვაურების დემობილიზაციას ახდენს.

მოკავშირენი და ოსმალეთ-საბერძნეთის ომი

ჰანნოვერი. 15 სექტ. კონსტანტინოპოლში ჩავიდა საგანგებო სამხედრო კომისია მარშალი ფრენჩის მეთაურობით.

კროიდონი. ამ ჟამად ინგლისის სამხედრო ძალები აღმოსავლეთში შესდგება ფეხოსანთა 4 ბატალიონისაგან, 1 ბრიგადა არტილერია ორი საპულემიოტო როტისა და გუსარების სამი პოლკისგან.

რომი. 15 სექტ. კონსტანტინოპოლის დასაცავად სეინაკში გაგზავნილია გემებით მოკავშირეთა ნაწილები.

ნაუენი. 15 სექტ. მარშალი ფრენჩი დანიშნულია ჯარების მთავარ ინსპექტორად კონსტანტინოპოლში ინგლისის მიერ.

ბალკანეთში

მოსკოვი. 15 სექ. ლონდონში ჯერ არ მიუღიათ ცნობა, სამხრეთ სლავიის არმიის მობილიზაციის შესახებ. ბულგარეთის ჯარის ნაწილების საბერძნეთის ჯარებთან შეტაკებას არ აძლევენ პოლიტიკურ მნიშვნელობას, თუმცა გაზეთები გამოსთქვამენ მწუხარებას, რომ ბულგარეთმა არ მიიღო ზომები საზღვრების დასაცავად.

მოსკოვი 15 სექ. ბულგარეთში ძლიერდება მოძრაობა თრაკიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების სასარგებლოდ.

ხმები სულთანის გადაყენების შესახებ

მოსკოვი 15 სექ. კონსტანტინეპოლში დადის ხმები სულთანის გადაყენების შესახებ აბდულ-მეჯიდის სასარგებლოდ რასაც შედეგად მოჰყვება კონსტანტინოპოლის და ანგორის მთავრობების გაერთიანება.

ფრონტზე

ბათომი. 15 სექ. ანგორიდან ოფიციალურად იტყობინებიან ოსმალეთის ჯარების მიერ კანდერმის და მუდანის აღებას შესახებ ამ პუნქტების დაკავებით საბოლოოდ გაქარწყლებულია შიში, რომ ბერძნები დაიწყებენ „კონტრ შეტევას“ მცირე აზიაში.

ანგორა. 15 სექ. ოსმალეთის ჯარების შეტევა სმირნის და დარდანელის მიმართულებით გრძელდება, ომის მეთვალყურენი აღნიშნავენ ანატოლიაში საბერძნეთის ჯარების განადგურებას. დამარცხებულია საბერძნეთის ჯარის 3 კორპუსი აფიონ-კარა-გისარის, დუმლუ კუნარის მიდამოებში და მურალაგას მთებში. ბერძნები განადგურებული არიან, ნაწილობრივ წამოყვანილია ტყვედ, ნაწილობრივ გაიფანტენ მთებში. ტყვეების რიცხვში წამოყვანილია კორპუსის ორი სარდალი გენერალი ტელეკოპულოსი და ბილემისი და შტაბის უფროსები, წამოყვანილია აგრეთვე რამდენიმე დივიზიის უფროსები, ხელთ ვიგდეთ 200 ზარბაზანი და აუარებელი ტყვია-წამალი და იარაღები. ამ ჟამად ოსმალეთის არმიას უკავია მთელი რაიონი [illegible] სადგურ-ყალის [illegible] ამისარის [illegible] უკავიათ მადენი, რომელიც [illegible] რეობს [illegible] დაშორებით.

ანგორა. 7 სექ. დაკავებულ ადგილებში ინიშნებიან ანგორის მთავრობის მიერ ხელისუფლების ორგანოები. ეწყობა რკის გზით მიმოსვლა. ესკი შეხირში და აფიონ-კარა-გისარში გადმოზიდა პირველი ფოსტა. ხელისუფლების წარმომადგენლები კარგად ეპყრობიან ქრისტიან მცხოვრებთ. ესკი-შეხერის გუბერნატორმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ ხელისუფლება ყველა მოქალაქეებს მშვიდობიანად ეპყრობა განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. გუბერნატორი მოუწოდებს ყველას მშვიდობიანად შეუდგენ ყოველ დღიურ მშვიდობიან შრომას.

ანგორა. 7 სექ. უკანასკნელ ბრძოლებში წამოყვანილია ტყვედ საბერძნეთის ჯარების კორპუსის სარდალი ტრიკუპისი. ტრიკუპისის ხმალი ქემალ-ფაშამ გადაუგზავნა საჩუქრად ეროვნულ თავდაცვის კომისარს კიაზიმ-ფაშას. უშაკთან ბრძოლის დროს ოსმალეთის ჯარმა ხელთ იგდო საბერძნეთის მთავარსარდლის გაჯიანესტის ნივთები. ამ ჟამად საბერძნეთის ჯარების მთავარსარდლად დანიშნულია პოლიმენაკოსი. საბერძნეთის მთავარი შტაბი გადატანილია კუნძულ მიდილზე.

ბერძნების ხიშხეცა.

ანგორა 7 სექტ. ბერძნები უკან დახევის დროს ბარბაროსულად იქცევიან; ისინი ცეცხლს უკიდებენ ქალაქებს, სოფლებს და ნათესებს. ბერძნები ხოცავენ მუსლიმანებს, ძალით აახლებენ და მიჰყავთ ქრისტიანები. ესკიშეხირი ნახევრად დამწვარია.

ქემალ ფაშას განცხადება.

რომი 15 სექტ. სმირნაში ქემალ-ფაშამ განაცხადა, რომ ოსმალეთი არ მიიღებს არავითარ კომპრომისს კონსტანტინოპოლის, ადრიანოპოლის და თრაკიის საკითხში. თუ მოკავშირეები არ დაუბრუნებენ კონსტანტინოპოლს მშვიდობიანის გზით, ოსმალები განაგრძობენ ბრძოლას ბოლომდე. ოსმალეთის ჯარების დიდი ნაწილი, რომელიც სმირნაში შევიდა, გაგზავნილია ჩრდილოეთის მიმართულებით.

კონსტანტინოპოლის მთავრობის მადლობა.

ბოროდო 15 სექტ. კონსტანტინოპოლის მინისტრთა საბჭომ ქემალ-ფაშას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც იგი მადლობას უხდის მას ქვეყნის განთავისუფლებისათვის.

# გერმანია და ანტანტა

გერმანია და ბელგია.

ნაუენი 15 სექტ. ბელგიის ნოტას გერმანიისადმი, ოქროს მარაგის შესახებ, აქვს მეგობრული ხასიათი და არ შეიცავს ულტიმატუმს, როგორც ეს იყო წინანდელ ნოტებში.

ნაუენი 15 სექტ. გაზ. „ლიბრ ბელჟის“ ცნობით, ბელგიის მთავრობა შეუთანხმდა გერმანიის მთავრობას ყველა მუხლების შესახებ, გარდა ოქროს მარაგის საკითხისა.

კანცლერ ვირტის განცხადება.

ნაუენი 15 სექტ, კანცლერმა ვირტმა, მიმართა რა გერმანიის მრეწველთა და კომერსანტების ყრილობას, სთქვა, რომ ის დიდ იმედს ამყარებს გერმანიის ხალხის ნებისყოფაზე, იმ ხალხის, რომელსაც სურს შეუთანხმდეს სხვა სახელმწიფოებს. მაგრამ ეს უკანასკნელნი ძალიან ბევრს მოითხოვენ და მუდამ ულტიმატუმებით იმუქრებიან. დასკვნაში ვირტმა განაცხადა, რომ გერმანიამ ჯერ კიდევ ბევრი სიკეთე უნდა მოუტანოს არა მარტო თავის თავს, არამედ მთელი ევროპას.

დღევანდელი პოლიტიკური მიზეზი უშლიდენ ხელს ხალხთა შორის სრულ თანხმობათა დამყარებას. საკონტრიბუციო პრობლემა გადაწყვეტილი იქნება სწორი ანგარიშების საფუძველზე, და ეს ანგარიშები უნდა შეადგინონ არა იმათ, ვინც ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა ევროპა, არამედ იმათ, ვინც თავის მოვალეობად სთვლიდა მიეწოდებინა მსოფლიოსათვის პროდუქტები და სხვა რამის დახმარებანი ისეთი ატმოსფერის შექმნისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ხალხთა ერთმანეთის გაგებას. გერმანია ყოვლადძალდონეს ხმარობს.

გერმანიის მრეწველთა ყრილობა.

ჰანოვერი 15 სექტ. გერმანიის მრეწველთა ყრილობაზე ყრილობის თავმჯდომარემ ფრანც მენდელსონმა გამოსთქვა მწუხარება, რომ წარსული კვირის მოლაპარაკება, მიუხედავად სახელმწიფო ბანკის ენერგიული დახმარებისა, უშედეგოდ დამთავრდა. მენდელსონმა გამოსთქვა იმედი, რომ მომავალ მოლაპარაკების დროს დამონაზული იქნება შემთანხმებელი გადაწყვეტილება. დამოვიდა რა ვრცელი მოხსენებით, კანცლერმა ვირტმა სხვათა შორის სთქვა, რომ ერთი სახელმწიფოს მიერ მსოფლიო ომის ყველა ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა არის სრული უგონობა, სანამ ეს აშკარა არ გახდება ყველასათვის და ის ხალხი, რომელიც კონტრიბუციას იხდის—დაღუპება და ევროპისაგან მხოლოდ ნანგრევები დარჩება. ომში მონაწილე ყველა სახელმწიფოები უნდა გაერთიანებულიყვნენ მოლაპარაკების საწარმოებლად, აეწონდაეწონათ თვითეული მუხლი და დებულებანი და ისე შეედგინათ ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობიანობას მსოფლიოში. დღეს მსოფლიოში არ არის მშვიდობიანობა იმიტომ, რომ ევროპის თანამედროვე პოლიტიკა არის ვივისექციის და ექსპერიმენტების პოლიტიკა თუ საერთო მიზანს მიაღწიონ, საკონტრიბუციო საკითხი უნდა აშენდეს მტკიცე საძირკველზე და გერმანიის უარმა ამა თუ იმ შეუძლებელ მოთხოვნილებათა შესრულებაზე არ უნდა გამოიწვიოს დანარჩენ ევროპაში პოლიტიკური კრიზისები.

სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარის გამგზავრება.

ჰანოვერი 15 სექტ. პრესის ცნობით, სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარე ჰავენშტეინი ფიქრობს ლონდონში გამგზავრებას ინგლისის ბანკთან მოსალაპარაკებლად და სთხოვოს შუამავლობა ბელგიისათვის გადასახდელის გადაცემის დრო.

პარიზი დემონსტრაციებს აჩენს.

ნაუენი 15 სექტ. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ პარიზი იჩენს ღმონსტრაციებს ლონდონში საფრანგეთის ვალუტის დაფარვის მნიშვნელოვანი ნაღდ დაცემის გამო, იმის შემდეგ, რაც გამოაშკარავდა გერმანია-ბელგიის მოლაპარაკების უშედეგობა და აგრეთვე იმის გამო, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხში ინგლის-საფრანგეთის შორის დაიბადა გაუგებრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოსკოვი** 15 სექტ. გერმანიის დელეგატებმა სარეპარაციო კომისიას აუწყეს მიზეზები ბერლინის მოლაპარაკების უშედეგოდ ჩატარების და იშუამდგომლეს ექვსი თვის ვადიანი სახაზინო ვალდებულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.

სარეპარაციო კომისიის წრეებში შესაძლებლად მიაჩნიათ ასეთ კომპრომისზე წასვლა. როგორც სჩანს გერმანიას მიეცემა ერთი წლის შეღავათი.

**მოსკოვი.** 15 სექტ. პარიზის ცნობით, გერმანიასა დაბელგიას შორის მოლაპარაკებისადმი სარეპარაციო კომისიის არა კეთილგანწყობილ დამოკიდებულების გამო, ლონდონის ბირჟაზე აუარებელი საფრანგეთის ფული გაჩნდა, რამაც გამოიწვია საგრძნობლად ფრანკის კურსის დაწევა. ინგლის საფრანგეთის კონფლიქტის გამო, საფრანგეთის ბირჟა ავსებულია საფრანგეთის საფონდო ქაღალდებით.

**პოლონეთის სეიმის ბოიკოტი.**

**მოსკოვი.** 15 სექტ. ვარშავას ცნობით, უკრაინის ყველა პარტიებმა, მათ შორის ესდეკებმაც, აღმოსავლეთ გალიციაში ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს პოლონეთის სეიმსა და სენატში. ახლახან სასამართლოს მიერ გამართლებულია ლიდერი დამოუდერელი სოციალისტების ლიდერის. დრობნერის კანდიდატურა წამოყენებულია კრაკოვში და ვარშავაში.

**აგრარული უწესოებანი.**

**მოსკოვი.** 15 სექტ. ლვოვიდან მიღებულ ცნობის თანახმად, თავადი სარტორინსკის და პერემიხენიცკის და ტარნოპოლის მაზრების სხვა მამულებში შეკრებილ მოსავლისათვის ცეცხლის წაკიდება გრძელდება.

**კომუნისტების გამარჯვება.**

**მოსკოვი.** 15 სექტ. კვირას სხვა და სხვა მუშათა კვარტალებში პოლონეთის სოც. პარტიის მიერ მოწვეულ მიტინგებზე გამოდიოდნენ კომუნისტები, რომელთაც დიდი ენტუზიაზმით ხვდებოდნენ.

**ლოკაუტი.**

**მოსკოვი.** 15 სექტ. გერმანიის მარკის და ავსტრიის კრონის კურსის დაცემის გამო, აიწია ჩეხიას კრონის კურსმა, რასაც მოყვა ჩეხო-სლოვაკიაში ჯერ არ ნახული ეკონომიური კრიზისი. ფეიქართა კავშირმა მიიღო გაფრთხილება ლოკაუტის შესახებ, რომელიც შეეხება 60,000 მუშას.

# ახალი ამბები

— **ახალი სამეცნიერო ჟურნალი.** ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-მსმენელთა პირველი გამოშვების აღსანიშნავად განზრახულია (ჯერძო ინიციატივით) ახლო მომავალში სამეცნიერო კრებულის „ჩვენი მეცნიერება“ ს გამოცემა, სადაც მონაწილეობის მიღება შეეძლება უნივერ. თანამშრომელთ და ახლად კურს დამთავრებულ სტუდენტებს. კრებულში მოთავსებული იქნება სტატისტიკური ცნობები უნივერსიტ. თანამშრომელთა და სტუდენტ მსმენელთა შემადგენლობისა უნივერ. დაარსებიდან —დღემდე. ჟურნალის რედაქ.-გამომცემელი არის ა. შილაკაძე.

— **ტფილისის აღმასკომის სალაროში** შემოვიდა შემდეგი შემოწირულებანი ამხ. კამოს სახელობის ბავშვთა სახლის ფონდის გასაძლიერებლად 12 სექტემბერს: 1) ტფილისის კვანძის სატრანსპორტო მომსმარებელი საზოგადოების თანამშრომლებისაგან 6,527,000 მან., 2) მე-3 სტამბის პოლიგრაფიულ განყოფილების თანამშრომლებისაგან 4,000,000 მან. სულ 10,527,000 მან.

— **დაკარგული მოწმობა.** გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ დაიკარგა პირადობის მოწმობა იოსებ ქეიშვილის სახელზე დიდი ლატარიის მომწყობ კომისიის მიერ მიცემული № 8. ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **ხაბავშვო ქალაქი.** კოჯრიდან ბავშვების გადმოყვანა ტფილისში უკვე დამთავრდა. ბავშვები კარგად გამოიყურებიან.

— **მოსახლეობის აღწერა.** აღმასკომის დადგენილების თანახმად დაევალა სტატისტიკურ განყოფილებას მოახდინოს მოსახლეობის აღწერა. სტატისტიკურ განყოფილების გამგე აღწერისათვის წინასწარ სამზადისს უკვე ამთავრებს და ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან შეუდგებიან ქალაქის აღწერას.

— **ხაბარგო ავტომობილების ტარების აკრძალვა.** ქალაქის აღმასკომის დადგენილების თანახმად, პლეხანოვის, რუსთველის, მელიქიანის და ჩერქეზიშვილის ქუჩებზე აიკრძალა საბარგო ავტომობილების ტარება. აკრძალულია აგრეთვე აღნიშნულ ქუჩებზე პროცესიების დროს რამგეის მიმოსვლა.

— **დაწესებულებათა შემჭიდროება.** ბინების კრიზისის გამო აღმასკომმა დაადგინა გაფართოვდეს ყველა დაწესებულებათა შემჭიდროება.

— **მუშათა სახლების შეკეთება.** არჩეულ იქნა მუშათა სახლების შემკეთებელი კომისია.

— **უცხოელ მსახიობთა მოწვევის** შესახებ. საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატმა — დაადგინა შემდეგი უცხოელ მსახიობების მოწვევის შესახებ. ვინაიდან საქართველოს ქალაქები და თვით ტფილისიც დატვირთულია მსახიობებით, უმეტესნი-კი უმუშევრებით, რომელთაც აქვთ სახ. განათლების სათეატრო ფონდში დეზორგანიზაცია, ამიტომ ყოველა ანტრეპრენიორებს, იმპრესარიებსა და სხვებს სასტიკათ ეკძალებათ მოწვევა უცხოეთიდან საქართველოში მსახიობების მთავარ სახელოვნო კომიტეტის ნებადაურთველად. ყველა, ვინც ჩამოვა ასეთ უნებართვოდ და არ იქნებიან ხელოვნების მომუშავეთა კავშირების კორპორაციაში გატარებულნი, არ იქნებიან დაშვებულნი სამუშაოზე, ხოლო იმპრესარიები კი პასუხისგებაში მიიცემა.

— **სახალხო განათლების კომისარიატის მომუშავეთა კოლექტიური ხელშეკრულება.** სახალხო განათლების კომისარის ამხ. დ. კანდელაკის მიერ თანახმად განათლების მომუშავეთა კავშირის დადგენილებისა, დამტკიცებულია განათლების კომისარიატის ცენტრალური დაწესებულებებისათვის კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის უფლება ტარდება მომუშავეებზე პირველ აგვისტოდან.

— **კოლეგიალური მმართველობა.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განყოფილებების გამგეების თათბირზე, რომელიც შესდგა 15 სექტემბერს ამხ. მ. ტოროშელიძის თავმჯდომარეობით, დაადგინეს სასტიკად დაიცვან კოლეგიალური მმართველობის სისტემა ყველა განყოფილებებში.

— **ლატარია დამშეულთა დასახმარებლად.** დირექტორი გამწესრიგებელი ს. ს. ს. რესპუბლიკის დამშეულთა დასახმარებლად ლატარიის მომწყობ კომიტეტსა ამხ. ს. ახვლედიანი დაბრუნდა დასავლეთ საქართველოდან, სადაც ის წასული იყო სამსახურის საქმეებისათვის.

— **ბათომსა და ქუთაისში** შესდგება კომისიები ლატარიის ბილეთების გასანაწილებლად. ბათომის კომისიაში, რომელსაც თავმჯდომარეობდა აჭარის ცენ. აღმასკომის თავმჯდომარის რაღჯამ ნიჟარაძე, შედიან აჭარის ყველა სახალხო კომისრები, თავმჯდომარე ბათომის ქალ. აღმასკომისა და ნავთსადგურის უფროსი. კომისიამ წაიღო მთავარ კომიტეტისაგან ერთი მილიარდ მანეთის ლატარიის ბილეთები.

— **ქუთაისშიაც** შესდგა კომისია ლატარიის ბილეთების გასავრცელებლად. თავმჯდომარეა ამხ. კაჭარავა, წევრებია სხვა და სხვა საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებების წარმომადგენელნი. კომისიამ უკვე მიიღო მთავარი კომიტეტისაგან ერთი მილიარდის ბილეთები.

— **ბათომის ნავთსადგურში.** გარდა იალქნიან-მოტორიან გემებისა, მოვიდა იტალიის გემი „ჟორჟია“ კონსტანტინეპოლიდან 56.000 ფ. ტვირთით და 22 მგზავრით; ინგლისის გემი „გაბრიელი“ 23.000 ფ. ტვირთით და მგზავრით კონსტანტინეპოლიდან; რუსეთის გემები „ეგნატე სერგეევი“ ნოვოროსიისკიდან 63.000 ფ. ტვირთით და „აპარისტანი“ ოდესიდან 17.000 ფ. ტვართით; ორივეს ახლდა მგზავრებიც.

იმავე დღეს გავიდა ნავთსადგურიდან „ეგნატე სერგეევი“ ოდესაში ტვირთით.

# პროვინციის ცხოვრება

**ბორჩალოს მაზრაში.** „მახვეი-ვახსეი“ მუსულმანური დღესასწაულები, რომელნიც ჩვეულებრივად დაკავშირებული იყვნენ სისხლის ღვრასთან, წელს მშვიდობიანად ჩატარდა, ხალხში აგიტაციის გაწევის საშუალებით.

**ბანდიტიზმი.** ბორჩალოს მაზრაში, სადაც ადგილი ჰქონდა ბანდიტიზმს, ადმინისტრაციის ენერგიული მუშაობის გამო იგი სავსებით მოისპო.

**ზუგდიდი.** მდინარე ენგურის ნაპირების გამაგრებას ჰქონდა მიქცეული ეკონომიური განყოფილების ყურადღება. მუშაობისათვის შექმნილი იქნა დაინტერესებულ თემთა გლეხების ორგანიზაცია, რომელმაც მოგვცა 14,000 მუშა და 7,000 ურემი. მდინარის ნაპირები გამაგრებულ იქნა ცენტრისაგან პატარა დახმარებით.

**ახალ-სენაკი.** სენაკისა და შორაპნის მაზრებში არსდება მოძრავი სადეზინფექციო კამერები.

**ბათომი.** 13 სექტემბერს გაიმართა ოსმალების მიერ მანიფესტაცია სმირნის აღების გამო. მანიფესტაციამ დაიარა ყველა დაწესებულებანი.

# სამხატვრო ქრონიკა.

**ტფილისის სახალხო სახლი.** სახალხო სახლის ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე უკვე შეუდგა მომავალ სეზონის სამზადისს. სეზონში დრო-გამოშვებით ახალ პიესების დასადგმელად მოწვეულია რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი, მორიგ რეჟისორობას კი გასწევს დამსახურებული სცენის მოღვაწე ნიკო გოცირიძე.

**ახალი პიესა.** მომავალ სეზონისათვის განზრახულია დ. ნახუცრიშვილის ახალი ორიგინალურ პიესის „პაატა ბატონიშვილის“. დადგმა სიუჟეტი აღებულია ერეკლე II-ეს ცხოვრებიდან. პიესის მთავარი გმირი ევროპიულად განათლებული კაცია. მოწინააღმდეგეა ერეკლეს პოლიტიკის და მომხრეა ევროპის ორიენტაციის. პიესა დადგმული იქნება ახალი დეკორაციებით. პიესა დაწერილია თეთრი ლექსით და კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს.

**შალვა დადიანის მოღვაწეობის 30 წ. თავი.** შალვა დადიანს წელს უსრულდება 30 წელიწადი საზოგადო ასპარეზზე მუშაობისა. განზრახულია შესაფერისად აღინიშნოს ნიჭიერი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ოცდა ათი წლის ნაყოფიერ მუშაობის თავი.

**ჟურნალი „ილიონი“.** მეორე ნომერი გამოვა 10 დღეში. ჟურნალს მოემატა კიდევ ერთი ფორმა. მიიღება ხელის მოწერა. თვიურად ჟურნალი ბინაზე მიტანით ღირს 20 ათასი მანეთი, ხელის მოწერა ჟურნალ ილიონის მდივანთან ლევ. კიკნაძესთან.

**სახელმწიფო ოპერა.** ოპერის მომღერალნი უკვე იყრიან ტფილისში თავს. ჩამოვიდა მეცო-სოპრანო მუხტაროვის ასული, რომელიც ითვლება საუკეთესო „კარმენი“-ს როლის ამსრულებლად. ორშაბათს მოელიან პაპოვას (კოლ. სოპრანო), კიპორენკო და აგრონომსკისა (ტენორები). გარდა ძველი ოპერების განახლებისა, განზრახულია შემდეგი ახალი ოპერების დადგმა. ზ. ფალიაშვილის „დაისი თევა“, „ვილჰელმ ტელლი“, „ლოენგრინი“, „ტანგეიზერი“ და სხვ. სეზონის გახსნა განზრახულია ოქტომბრის 15-ს „აბესალომ და ეთერით“.

**ქართული დრამა.** მსასიობ ალ. იმედაშვილმა უკვე დამარულა შექსპირის „მაკბეტის“ მზადება. ეს პიესა ქართულ სცენაზე ჯერ არ დადგმულა. იმედაშვილი ამზადებს ამ როლს სამი წელიწადია. პიესის დადგმა განზრახულია მიმდინარე სეზონში.

**მსახიობი გ. დავითაშვილი.** შეუდგა ჰამლეტის როლის მზადებას.

**მსახიობი შ. ჭიაურელი.** მთავრობის ხარჯით მიემგზავრება სასწავლებლად საზღვარ-გარეთ (გერმანიაში). გამგზავრების წინა დღეებში —სექტემბრის 19 ს, რუსთაველის თეატრში ჭიაურელი მართავს დიდ წარმოდგენა-საღამოს თავის სასარგებლოდ. საღამოში სხვათაშორის მონაწილეობს ცნობილი რუსი მსახიობი ბლიუმენტალ—თამარინი, რომელიც ამ საღამოსთვის სპეციალურად ამზადებს ქართულ ლექსებს.

**რუსული დრამა.** დღეს რუსთაველის თეატრში გამოსათხოვარი გასტროლია ბლიუმენტალ—თამარინისა. წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია „ბურიდანელი ვირი“, ვოლხოვსკაიას და კრუჩინინის მონაწილეობით.

# ამხ. გერასიმე შურღაია

სამშაბათს, აგვისტოს 29 ს, ფოთის მუშებმა მიწას მიაბარეს რევოლიუციისათვის თავდადებული საუკეთესო ამხანაგი გერასიმე შურღაია.

ამხ. გერასიმე 1905 წლის რევოლიუციას შეხვდა უკვე საქართველოს სოც.-ფედ. სარევ. პარტიის რიგებში. ის თავის მცირე რიცხოვან ამხანაგებით—მუშებით შეადგენდა გამონაკლისს მით, რომ აირჩია ჩვენი პარტია და არ გაჰყვა უმრავლესობას, რომელიც შეგნებით თუ მიბაძვით სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიაში გადაბარგდა.

რად არ გაჰყვა ამხ. გერასიმე უმრავლესობას? რამ აიძულა იგი შემოეფარა თავი ჩვენს დროშის ქვეშ; იმ დროშის ქვეშ, რომელსაც არა ერთხელ წაპოტინებია შესაგნებლად, დასამცირებლად თავისი ხელებით სოციალ-გამყიდველები, რომელთაც შემდეგში ითამაშეს სამარცხვინო როლი საქართველოს რევოლიუციის ისტორიაში?

ამხ. გერასიმე თავისი რევოლიუციონური ინსტინქტით მიხვდა, რომ სოციალ დემოკრატიული — მენშევიკური ბრძოლის მეთოდი ვერ მისცემდა მშრომელ ხალხს გამარჯვებას, ვერ გაუთენებდა მას დიად დღეს. მებრძოლი ბუნება გერასიმესი ვერ ურიგდებოდა სოც.-დემოკ. მშვიდობიან და კომპრომისებით სავსე პოლიტიკას. გარდა ამისა გერასიმე იყო პატრიოტი: მას უყვარდა თავისი მრავალჯერ განაწამები სამშობლო და მშრომელი ხალხის პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლება ვერ წარმოედგინა თავის სამშობლოს, თავის ერის მონობასთან ერთად. სოც.-დემოკრატიული პარტია კი რამდენადაც შემდეგ შოვინიზმში გადავარდა, იმდენად წინედ ეროვნულ საკითხში სასტიკ ნიჰილისტობას იჩენდა და ყოველი ეროვნული გრძნობა მას დიდ დანაშაულად მიაჩნდა და ამიტომ უადრესად სოციალისტმა და მამულიშვილმა გერასიმემ ჩვენს პარტიაში სავსებით გაშალა ფრთები და თავის ბრძოლის წყურვილს მხოლოდ ჩვენთან მისცა გასავალი გზა. მთელი თავისი შეგნებით, რევოლიუციონური მისწრაფებით დაეწაფა ამხ. გერასიმე პარტიულ მუშაობას და ერთხელაც არ ჩამოუშვია ქვეშ წითელი დროშა, სოციალიზმისა და ერის თავისუფლების ლოზუნგებს გაჰყვა ამხ. გერასიმე ბრძოლად შრომის ექსპლოატაციის დასამხობად და მუშურ-გლეხურ ჰეგემონიის დასამყარებლად. მისი რწმენა, პროლეტარიატის საბოლოოდ გამარჯვებაში, ერთხელაც ვერ შეარყია ვერც შავმა რეაქციამ, ვერც ხალხის რევოლიუციისადმი გულცივობამ (ყვითელი სოციალისტობის წყალობით) და ვერც ჩვენი ამხანაგების, სამწუხაროდ, უმრავლესობის ღალატისა და დარჩა ერთგულ დარაჯად თავის სადარაჯოზე.

ასეთი იყო ამხანაგი გერასიმე, ასეთი ერთგული, გამოცდილი რევოლიუციონერი დავკარგეთ ჩვენ მასში.

მახსოვს, კომუნისტურ გადატრიალების შემდეგ ამხ. მ. ესაკიასთან შეკრებილნი ამხანაგები, პარტიის და რევოლიუციის წინაშე [illegible] ... [illegible] კრიტიკულ [illegible] გვთხოვდა [illegible], — ჩვენი იდეის ხორცშესხმას, რაც დაგვბოდა წუთი ბრძოლისა და მუშას გრიგიმლზე უნდა გამოეჭედილიყო ახალი საქართველო პარტიაში დროშის ქვეშ დავრჩით უმცირესობა და ჩვენს ძახილზე, ჩვენს მოწოდებაზე პარტიის უმრავლესობა ჩვენს ფიქრით, საუკეთესო ძალა—ინტელიგენცია—თავის ღალატს, მეშჩანურ სულმოკლეობას შოვინიზმის დახავსებულ ქურქში ახვევდა.

ძლიერი იყო ჩვენი მწუხარება. ერთმანეთს თვალებში ჩავსცქეროდით; გვსუროდა ამოგვეკითხა. „ნუ თუ დაიმსხვრა პირველ ბარიკადებზე ჩვენი რწმენა? ნუ თუ სიტყვები, ლამაზი სიტყვები მარტო ასაზრდოებდა ჩვენს პარტიას ამ ოცი წლის განმავლობაში, ნუ თუ მართალნი იყვნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი: უნიადაგონი ხართო, რომ გვიკიჟინებდნენ? დიდხანს ვიყავით გაჩუმებული, ყველას კრიჭა შეგვეკრა, სიტყვის ამოღებას ვერ ვახერხებდით... უცბად მოესმა ამხ. გერასიმეს ხმა: „გამხნევდი, ამხანაგო, მოხდა ის, რაც უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. მათი ჩამოშორება ჩვენ ვერ დაგვაკლებს, პირიქით, გაწმენდს ჰაერს, რომელიც დიდი ხანია ვგრძნობ დამძიმებულია და რაღაც ძალით აძუნებდა ჩვენს მუშაობას. დევ მკვდრები მარხონ მკვდრებმა, ჩვენ კი გაუწოდოთ ხელი მუშებს და მათთან ერთად ვქედოთ ჩვენი ბედიო“.

ამ სიტყვებმა ამივსო იმედებით გული და კვლავ ვიგრძენი ძალა ჩემს ამხანაგებში, ძალა უტყუარი, განწმენდილი რევოლიუციის ცეცხლში არა ერთხელ და ბრძოლის წყურვილით გაუმაძღარი,

ამ დღიდან ამხ. გერასიმე გაორკეცებულ ენერგიით შეუდგა მუშაობას თავის წრეში—მუშებში, დაავიწყდა ცოლი შვილები, თავისი თავიც.. რევოლიუციის ცეცხლში ჩაიფერფლა მისი პირადი „მე“ და... ბოლოს სრულებით დაიწვა...

მის საფლავზე ჩვენ ნათლად ვიგრძენით, რომ ძლიერია ჩვენი პარტიის კავშირი და სიმპატია მშრომელთა მასაში. თბილი გულის სიღრმეში ჩამწვდენი სიტყვები, გერასიმეს საფლავზე წარმოთქმული სიტყვები, მალამოდ ეცებოდა ჩვენს დაობლებულ გულს. სად იყვნენ ჩვენი ძველი ამხანაგები, ნუ თუ ამხ. გერასიმე არ იყო იმის ღირსი, რომ მოსულიყვნენ და მისი კუბო აეწიათ? სად იყვნენ? სარდაფებში, ბულვარზე, ფუტბოლზე;—და როცა ასეთი თავშესაქცევი აქვს ჩვენს მცოდნე ინტელიგენციას, ვიდაც გერასიმე, რომელიც თურმე პარტიაში ყოფილა, რათ აინტერესებს? მით უმეტეს, რომ ეს ვიღაც გერასიმე მემარცხენე ყოფილა და მაშასადამე სამშობლოს მოღალატე.

დევ გაჰკიცხოს ამხ. გერასიმე იმან, ვისაც სამშობლოსადმი სიყვარული აღოუჭურავს მხოლოდ ლამაზი სიტყვებით ბაბილონის გოდებით და დასავლეთისკენ ცქერით, სადაც სამუდამოდ ჩაესვენა ყვითელი მზე სოც. გამყიდველებისა წიაღსა შინა ანტანტისასა, ჩვენ ასეთ გაკიცხვას არ გვეშინიათ, ჩვენ გვეშინია მხოლოდ ისტორიის, რომლის წინაშე პასუხი უნდა ვაგოთ და როცა დადგება სანატრელი დღე თავისუფლებისა, როცა აშენდება შრომის ტაძარი, გაიჭედება ახალი ცხოვრება, მადლიერი ხალხი აუგებს გერასიმეს და მასავით რევოლიუციის გმირებს უკვდავების ძეგლს. მანამდის კი ამხ. გერასიმე იქმარე ჩვენი ამხანაგების თბილი სიყვარული და რევოლიუციონური სალამი.

დ. ფაზახპირელი.

# სამასწავლებლო სემინარია გორში.

საქართველოს სინამდვილეა სახელმწიფო სკოლათა ისტორიის ხანგრძლივობა არ იცის. არ იცის იმიტომ, რომ მე 19 საუკუნემდე საქართველოს ცენტრალური ქალაქებშიაც კი არ არსებობდა საერო საშუალო სასწავლებლები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ძალიან იშვიათად, სპეციალური მიზნით, არსდებოდა სახელმწიფო სკოლები, რომლებსაც არ ჰქონდათ შემუშავებული საკუთარი ტრადიცია, ვინაიდან მათი არსებობა ხანმოკლე დროით განისაზღვრებოდა.

თუ ესოდენ უმნიშვნელო რაოდენობით იყო ჩვენში საერო სკოლები, ამის თქმა ყოველ-შემთხვევაში

არ შეიძლება საქართველოს სასულიერო სასწავლებლებზე, რაც ჩვენში ყოველდროს მრავლად მოიპოვებოდა და რელიგიურ მომენტთან ერთად, განათლების გავრცელების საქმეს ემსახურებოდა. სასულიერო სასწავლებლები, წარსული საუკუნის დასაწყისამდე, არ სცილდებოდა ეკლესია-მონასტრის კედლებს და მათი ორგანიზაცია სამოსწავლო პროგრამითურთ საეკლესიო დოგმატიური ნორმების ზეგავლენით ხასიათდებოდა და პედაგოგიურ აღზრდა-განათლებას თავისუფალი განვითარების გასაქანი შეზღუდვილი ჰქონდა.

ასეთ სკოლებს ხსნიდა არა ხელისუფალი ორგანოები, არამედ კერძო პირნი, რომლებიც ხშირად პირადი სახელის და დიდების მოპოვებისათვის უფრო ზრუნავდენ ვიდრე სახალხო განათლებისათვის. ასეთ სკოლებთან ინტერნატებიც იმართებოდა და განსაკუთრებით მაღალი წოდების ახალგაზრდა იზრდებოდა მათში.

თუ თანამედროვე თვალსაზრისით შეიძლება რითმე გავამართლოთ ასეთი საერო თუ სასულიერო სასწავლებელთა სკოლის ორგანიზაცია, დღევანდელი ექსპერიმენტალური პედაგოგიკის და სასკოლო ფსიქოლოგიის მოტივით ის უარსაყოფი და მიუღებელია.

მაგრამ, რომ თემას პირდაპირ უპასუხოთ, საჭიროა სამასწავლებლო სემინარიებზე და კერძოდ გორის სემინარიაზე აწმყო პედაგოგიურ ტეხნიკუმზე შევჩერდეთ; დღეს, როგორც ირკვევა, დასმულია საკითხი სათანადო წრეებში მისი როგორც ცალკე სასწავლებლის, გაუქმების შესახებ.

ჩვენში ძლიერი მოთხოვნილება შეიქმნა პედაგოგიური სკოლების და პედაგოგიური განათლებისა, რადგანაც ასეთი ხასიათის სასწავლებლები სპეციალურ მიზანს ისახავდენ და რეალურადაც ემსახურებოდნენ მის სრულ-ყოფას. მაგრამ სამასწავლებლო სემინარიები არამც თუ საქართველოში, მე XIX საუკუნის მეორე ნახევრამდის არც მთელს ამიერ კავკასიაში არსებობდა.

და როდესაც რუსეთის ბიუროკრატიულმა რეჟიმმა გაბედა და გადასწყვიტა საპედაგოგიო სასწავლებლის დაარსება ამიერ-კავკასიაში, პირველი ასეთი სასწავლებელი ქალაქ გორში გაიხსნა.

ეს სემინარია უკანასკნელ ხანებამდე (სკოლების გაეროვნებამდის) იწოდებოდა ამიერ-კავკასიის სამოსწავლო სემინარიად, ვინაიდან ის იყო პირველი სემინარია ამიერ-კავკასიაში.

ამ სასწავლებელს, როგორც იშვიათ დაწესებულებას მთელი ამიერ-კავკასიის ერებისათვის, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ვერ მოქონდა იმდენი ნაყოფი, რამდენიც შეეძლო მას მოეტანა ნორმალურ პირობებში. ამ სასწავლებელში ყოველი სამოსწავლო წლის დასაწყისში, ახალი მიღების დროს, სასტიკი კონკურსი არსებობდა, ვინაიდან მთხოვნელთა საერთო რიცხვიდან 30 მოწაფეზე მეტი არ უნდა მიეღოთ და ეს მიღებულთა რაოდენობა მთხოვნელთა საერთო რიცხვის ერთ მეხუთედსაც ძლივს უდრიდა. ცხადია ასეთი კონკურსის დროს ქართველები მცირე ალაგს იჭერდხენ და სახელმწიფო ხარჯზე, პანსიონში, ორი-სამი ქართველი თუ მოხვდებოდა მხოლოდ, დანარჩენი ადგილები სხვა კი ეროვნებათა ახალგაზრდებს ეჭირათ.

ასეთი ლტოლვის მიზეზი გორის სამოსწავლო სემინარიისაკენ იყო ერთის მხრით ის, რომ ამ სასწავლებელში ყოველთვის, და უკანასკნელ დღემდეც, სხვა ტიპის სასწავლებლებზე გაცილებით უკეთ იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის და შეგირდთა თვითგანვითარების საქმე, და მეორე მიზეზი ის იყო, რომ ინახებედა სახელმწიფო ხარჯზე მთელი პანსიონით. ხელისუფლება ყოველწლივ ოთხმოც კაცს აძლევდა იმდენ სტიპენდიას, რაც სრულებით უზრუნველ ყოფდა მათ და პანსიონერად ხდიდა.

სემინარია პედაგოგიური ინტერნატის პრინციპზე იყო აგებული და ამ აზრს ყოველთვის ამართლებდა.

ორმოცდა მერვე წელია, რაც გორის სამასწავლებლო სემინარია (აწმყო პედაგოგიური ტეხნიკუმი) არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მან ორმოცდა ოთხჯერ მოახდინა მომზადებულ-დახელოვნებულ, პროფესიონალურ მასწავლებლების გამოშვება. რა თქმა უნდა ამ რაოდენობაში ქართველ ახალგაზრდათა რიცხვი 10 პროცენტს თუ უდრიდა, მაგრამ ეს რიცხვიც დიდი და საპატიო არის პედაგოგიურ არენაზე მებრძოლი ლაშქრის მისამატებლად, რომლებიც მთელს თავის ენერგიას წარბ-შეუხრელად სწავდენ ხალხის გათვითცნობიერების სამსხვერპლოზე.

ჩვენ ხელთ არ არის ამ ჟამად სწორი უტყუარი სტატისტიკური ცნობები, თუ რამდენი მასწავლებელი გამოუშვა გორის საოსტატო სემინარიამ თავისი არსებობის სიგრძეზე, ან რამდენი იყო მათ შორის ქართველი, მაგრამ ის ხომ უდავოა, რომ ყოველი მათგანი ახალგაზრდა ყრმათა ფაქიზი სულის აღმზრდელად და მასწავლებლად იყვნენ მოვლინებულნი და უაღრესად საპატიო იდეას ემსახურებოდნენ.

მას შემდეგ, რაც ქართული სკოლები ნაციონალურ ნიადაგზე ჩამოყალიბდნენ და ეროვნული ქურქით შეიმოსენ, გორის სემინარიაშიაც სავსებით გატარდა ნაციონალური სკოლის პრინციპი და ახალ ნიადაგზე მოწყობის ორგანიზაცია და სწავლების მეთოდი.

ამავე ხანიდან გორის სამასწავლებლო სემინარიას პირველად ეღირსა ქართველი დირექტორი ბ-ნი კ. არველაძე, რომელიც რკინის ენერგიით შეუდგა სემინარიის მკვიდრ საფუძველზე დაყრდნას და მასში ქართული ეროვნული სულის გახელმწიფებას.

ჩვენ აქ ზედმეტად მიგვაჩნია შეჩერება იმ ფაქტზე, თუ რამდენად საჭიროა დღევანდელი ჩვენი განაპირა პერიფერიებისათვის სემინარიის კურს დამთავრებული მასწავლებლები. დღეს კიდევ ამაზე ლაპარაკი შაბლონის იერით შეიმოსება, ვინაიდან მზის სინათლესავით ნათელია, რომ საერო ცივილიზაციის და კულტურის პროგრესის ერთი ძლიერ ფაქტორთაგანი სპეციალური, პედაგოგიური ცოდნით აღჭურვილი მასწავლებელია, რომლებსაც ჩვენში მარტოოდენ სამასწავლებლო სემინარიები და ასეთივე ინსტიტუტები უშვებენ.

თუ ოდესმე საჭირო იყო ჩვენთვის პედაგოგთა პერსონალის სისაღე, მით უმეტეს საჭიროა იგი დღეს ამ გარდამავალ რევოლიუციონურ პერიოდში, როდესაც ყოველი სოციალური მოვლენა ახალი ფორმაციით იშლება ჩვენს წინაშე და ყოველი ქართველისაგან სასტიკ ანგარიშის გაწევას მოითხოვს. და ასეთ დროს გორის ქალაროსახი სამასწავლებლო სემინარიის დახურვაზე ფიქრი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნეს.

დიდია ღვაწლი ამ სასწავლებლისა ქართველი ხალხის წინაშე წარსულში, დიდი პერსპექტივაა გაშლილი მერმისისათვის და ამ მიზნით უნდა გავამართლოთ ყოველი ხარჯი, რასაც მოითხოვს მისი მოვლა და პატრონობა.

გ. თავზარაშვილი.

## სამეურნეო ბანკი.

ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ცდება. აღებ-მიცემა გამოცოცხლდა, რაც თავდებია ქვეყნის მეურნეობის აღდგენის დაწყებისა, ამის შედეგია, რომ სპეკულიანტური კაპიტალი ადგილს უთმობს საწარმოოს.

თანამედროვე ეკონომიური პოლიტიკის კურსის მიერ გამოწვეულ აღებ-მიცემობის ერთულ პროცესს საჭიროა მიეცეს გარკვეული სახე, საჭიროა მისი გაძლიერება ორგანიზაცია-დაწესებულებები. დღემდე ტფილისში მოქმედებდა ორი ასეთი დაწესებულება—სახალხო და კოოპერატიული ბანკები. ამ დღეებში, ამ მოქმედებას დაიწყებს მოსკოვის სახალხო ბანკის ტფილისის განყოფილება და გ. წ. ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკი, რომელსაც 27 წლის ისტორია აქვს, ის დაარსებულია 1895 წ. 28 ათ. მანეთი ძირითადი თანხით. 1920 წლის თებერვლამდი ბანკი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, ხოლო ამ დროიდან ის სხვა ბანკებთან ერთად დახურული იქნა.

დღეს კვლავ იწყებს ეს ბანკი მუშაობას 2,500,000,000 მან. (ქარ.ბონ.) ძირითადი თანხით. არასოდეს სასოფლო სამეურნეო ბანკი ისე არ იყო საჭირო, როგორც დღეს.

არასოდეს სამეურნეო კრედიტს არ ქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც დღეს, როდესაც დანგრეული მეურნეობის აღდგენა უნდა მოხდეს არაჩვეულებრივი სისწრაფით.

ამიტომ არ შეიძლება, რომ არ მივესალმოთ სამეურნეო ბანკის განახლებას. სიმპატიით ეპყრობა აგრეთვე ს. ს. ს. რ. ფინანსთა კომისარიატი და ტფილისის აღმასკომი, რომლებმაც აღუთქვეს მას ყოველი ღონისძიების მიღება მრეწველობის დირებულ გაპნეულ ქონების მოგროვებაში.

მ. ხ.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 49.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საწარმოო და სხვა დაწესებულებებში სარელიგიო წესების ასრულების აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღსრულება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოო და სხვა დაწესებულებებში სარელიგიო წესებისა, აგრეთვე მოთავსება ამ დაწესებულებათა შენობებში რაიმე სარელიგიო ნახატებისა, დაისჯება იძულებითი მუშაობით სამ თვემდე, ან ჯარიმით 300 მანეთამდე ოქროთი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ქავთარაძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე ა. აფანასიევა.

1922 წ. სექტემბრის 15

### დადგენილება № 50.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებათა თანამშრომლების დეპატიმრების შემთხვევაში, ამ დაწესებულებათათვის ცნობის სავალდებულოდ გაგზავნის შესახებ.

საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველი უწყების თანამდებობის პირი, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს დაპატიმრების უფლება, მოვალეა იმ შემთხვევაში, უკვე თუ დაპატიმრებული სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულების თანამშრომელი იქნება, აცნობოს ამის შესახებ დაპატიმრებულის უშუალო უფროსს არა უგვიანეს ოცდა ოთხი საათისა დაპატიმრების წამიდან.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ქავთარაძე

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე ა აფანასიევა

1922 წ. სექტემბრის 15.

## წერილი რედაქციის მიმართ

### კურორტ აბასთუმანი.

9 აგვისტოს აბასთუმნის თეატრში სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრის დ. თევზაძის თაოსნობით ამავე საზოგადოების სასარგებლოდ ექ. აბაკელიამ წაიკითხა მოხსენება:—„ტუბერკულიოზი და საზოგადოებრივი ბრძოლა მასთან“

გაყიდული ბილეთებიდგან შემოსავალი იყო 2,060,000 მ.; საპატიო ბილეთების გადაიხადეს: ალ. ერქომაიშვილმა—300.000 მ., დ. ნასარიძემ—50.000 მ., ნ. მახარაძემ—100.000 მ., ი. ჯორბენაძემ—30.000 მ., ვ. ძნელაძემ—100.000 მ., გ. ფანცხავამ—100.000 მ., პ. გამყრელიძემ—200.000 მ., გორგიკაშვილმა—100.000 მ., ქ. ცინცაძემ—100.000 მ„ ივანე გ. ჩიტაიშვილმა 4 თათრული ლირა—ძალადის, ს. და ე. ქავთარაძეებმა—300.000 მ., ი. გოპაძემ—200.000 მ., პროფ. პ. მელიქიშვილმა—100.000 მ., პროფ. შ. ნუცუბიძემ 150.000 მ., ქ. ხუტულაშვილმა—50.000 მ.

სულ საპატიო ადგილებიდგან შემოვიდა ერთი მილიონი და რვაას ოთხმოცი ათასი მანეთი და 4 ლირა.

თეატრის ქირა და წვრილი ხარჯები იყო ერთი მილ. და ოთხას სამოცდა ორი ათასი მანეთი. დარჩა წმინდა შემოსავალი საზოგადოების სასარგებლოდ ორი მილ. ოთხას სამოცდა თვრამეტი ათასი მანეთი და ოთხი ლირა (2478000 მან. და 4 ლირა,) რაც გადაეცა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობას.

დასასრულ საზოგადოების სახელით მადლობას უძღვნი ექ. აბაკელიას, სტ. პოლაძეს და მხატვარ გ. გაბიძეს, რომლებმაც დიდი დახმარება გამიწიეს ლექციის მოწყობაში.

აგრეთვე [illegible] პატივცემულ [illegible] თავისი [illegible] შნულ საზოგადოების დასახმარებლად.

გამგეობის წევრი დ. თევზაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

**დაეკარგა** სახელმწიფო უნივ. სტუდენტმა სალექსიო წიგნაკი № 3064. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად.

კაპიტონ ბესარიონის ძე გოგრაძე.

# საჯაროდ საყოველთაო
# სავალდებულო დადგენილება № 11
## ტფილისის აღმასკომისა, 16 სექტ. 1922 წელს.

ტფილისის აღმასკომის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების, 24 ივლისის 1922 წ. № 6

# შრომის ხარკის
## გადახდის წესების შესახებ,

პირველი პარაგრაფის დასამატებლად

ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა

**დაადგინა:**

ყოველ ერთეულ მუშა საქონლისაგან, ორი ცალზე ზევით, აკრეფილ იქმნას შრომის ბეგრის სახით

**ხუთი მანეთი ოქროთი.**

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე: წივწივაძე.

2—1 მდივანი: გ. ხუნდაძე.

# ტფილისის აღმასკომთან
## არსებული კომისია
## ტფილისში შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის ფულით შეცვლის შესახებ,

აქვეყნებს საყოველთაო ცნობისათვის, რომ ის პირნი, რომელნიც არ შეიტანენ შრომის და ტვირთზიდვის გადასახადს ამა წლის სექტემბრის 18 მდე, გადაიხდიან ზედმეტს შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის გაწერილ თანხაზე, ორმოცდა ათი (50) ათასი მანეთის რაოდენობით ყოველ გაშვებულ დღისათვის.

კომისიის თავმჯდომარე დ. თაქთაქიშვილი.

პასუხისმგებელი მდივანი.

წევრი კომისიისა—რუხაძე.

2—1

# ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიწათ-მოქმედების განყოფილება უკანასკნელად აცნობებს

ყველა სახლის პატრონებს, რომ სახლების რეგისტრაციაში გასატარებლად საბანკეტო ფურცლების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია **20 სექტემბრამდე**, ხოლო სარეგისტრაციო ბარათების გაცემის ვადა

# **1 ოქტომბრამდე**

სახლის მფლობელობა, რომელიც არ გატარდება რეგისტრაციაში გამოცხადებული იქნება უპატრონოთ და გამოცხადდება ქალაქის საკუთრებათ.

№ 28 3—3

# განცხადება
## ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1922 წ. ოქტომბრის 1-ლს რესპუბლიკის ხაზინებში, სახალხო ბანკში და მის განყოფილებებში

**შეწყდება გადაცვლა რ. ს. ფ. ს. რ. ფულის ნიშნების, რომელნიც გამოსულია 1922 წლამდე.**

სახელმწიფოებრივ, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ დაწესებულებებმა და კერძო პირებმა, რომელთაც სურს გადაცვალა რ. ს. ს. რ. ფულის ნიშნების უნდა შეიტანოთ გადაცვლისათვის სახ. ბანკს ოქტომბრის 1-მდე, მის განყოფილებებს ტფილისის, ქუთაისის, და ბათუმის ხაზინებს, რომელნიც კასის ანგარიშის გაწევით აწარმოებენ ფულის ნიშნების გამოცვლას ან მისცემენ სათანადო კვიტანციებს.

კვიტანციების მიხედვით დაწესებულებებს მიეცემათ ფული ამავე დაწესებულებებში ფულის დაგროვების რაოდენობით.

ფინანსთა სახალხო კომისარი ა. ხვანიძე